წესები და პირობები

23 ნოემბერი

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს (შემდგომში - „**წესები**“), რომლებიც არეგულირებს თქვენს „**კრიპტო ქეშბექის კამპანიაში**“ (შემდგომში - „**კამპანია**“) მონაწილეობას. აღნიშნული **კამპანიით** სარგებლობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით წინამდებარე **წესებს.**

კამპანიაში მონაწილეობით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე **წესებს,** ეთანხმებით მათ და იღებთ ვალდებულებას, დაიცვათ **წესებით** განსაზღვრული მოთხოვნები.

1. კამპანიის აღწერა

1.1 **კამპანია** ორგანიზებულია სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) (შემდგომში - „**თიბისი ბანკი**“) მიერ და ხელმისაწვდომია **თიბისი ბანკის** მობილური ბანკის (შემდგომში - „**მობილური ბანკი**“) მომხმარებლებისთვის, წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.2 **კამპანიის** ფარგლებში **პირველი 3,000 (სამი ათასი) მონაწილე,** რომელიც სრულად დააკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს, **თიბისი ბანკის მობილური ბანკის** კრიპტო-ანგარიშზე (შემდგომში - „**კრიპტო-ანგარიში**“) 2026 წლის 23 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით თიბისის **მობილური ბანკის** კრიპტო-მოდულში (შემდგომში - „**კრიპტო-მოდული**“) პირველად შესრულებული ნებისმიერი ციფრული აქტივის შესყიდვის წარმატებული ტრანზაქციის (შემდგომში - „**პირველი ტრანზაქცია**“) 50%-ის (ორმოცდაათი პროცენტის) ოდენობით მიიღებს ქეშბექს ბიტკოინის (Bitcoin – BTC) სახით (შემდგომში - „**ქეშბექი**“), მაგრამ **არაუმეტეს 10 (ათი) აშშ დოლარის ეკვივალენტის** ბიტკოინისა, წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.3 **კამპანია** ვრცელდება მხოლოდ **კრიპტო-მოდულში** ციფრული აქტივების შესყიდვისას განხორციელებულ წარმატებულ ტრანზაქციებზე. გაუქმებული, უარყოფილი, დაბრუნებული, აღუსრულებელი ან/და დაუსრულებელი ტრანზაქციები **პირველი ტრანზაქციის** მიზნებისთვის და **ქეშბექის** გამოთვლისას არ გაითვალისწინება.

1.4 **მონაწილე აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ციფრული აქტივების ღირებულება ხასიათდება მაღალი ცვალებადობით და დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან.** ციფრული აქტივის შეძენამდე მონაწილე ვალდებულია გაეცნოს **თიბისი ბანკის კრიპტო-მოდულის** გამოყენებასთან დაკავშირებულ წესებს და პირობებს, რომლის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია სათაურით

„ხელშეკრულებები კრიპტო მოდულის შესახებ“ შემდეგ ბმულზე: ხელშეკრულებები.

1.5 **წესებში** გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ წინამდებარე **წესების** 1.4 პუნქტით განსაზღვრული კრიპტო-მოდულის წესებით და პირობებით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

2. კამპანიის ვადები

2.1 **კამპანიაში** მონაწილეობისა და წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების პერიოდი: 2026 წლის 23 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით (შემდგომში „**კამპანიის პერიოდი**“).

2.2 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **თიბისი ბანკის** მიერ **კამპანიის** შესახებ გამოქვეყნებული მარკეტინგული ინფორმაციის/კომუნიკაციის თარიღის და დროის მიუხედავად, მონაწილის მხრიდან **კამპანიის** პირობების დაკმაყოფილების დაწყების თარიღად (წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) მიიჩნევა წინამდებარე **წესების** 2.1 პუნქტში განსაზღვრული **კამპანიის პერიოდის** დაწყების თარიღი.

2.3 **ქეშბექი** მონაწილეს **კრიპტო-ანგარიშზე** ჩაერიცხება **კამპანიის პერიოდის** დასრულების შემდეგ, კერძოდ, არაუგვიანეს 2026 წლის 04 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში „**ქეშბექის მიღების თარიღი“**), იმ პირობით, რომ **ქეშბექის** დარიცხვის მომენტისთვის შესაბამისი მონაწილე კვლავ აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ **ქეშბექის** მიღების პირობებს.

3. კამპანიაში მონაწილეობის პირობები

3.1 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგ პირებს: (ა) ახალ მომხმარებლებს, რომლებიც პირველად გახსნიან **კრიპტო-ანგარიშს კამპანიის პერიოდის** მიმდინარეობისას; ან (ბ) არსებულ მომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ აქტიური **კრიპტო-ანგარიში**, თუმცა **კამპანიის პერიოდის** დაწყებამდე არ განუხორციელებიათ ციფრული აქტივის შესყიდვის არცერთი წარმატებული ტრანზაქცია ან/და დავალება.

3.2 **კამპანიაში** მონაწილეობისთვის და **ქეშბექის** მისაღებად, მონაწილე ერთობლივად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

3.2.1 მონაწილე აკმაყოფილებს წინამდებარე **წესების** 3.1 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან ერთ-ერთს;

3.2.2 **კამპანიის პერიოდში** მონაწილე შეასრულებს ციფრული აქტივის შესყიდვის **პირველ ტრანზაქციას**;

3.2.3 **კამპანიის პერიოდის** მიმდინარეობისას და **ქეშბექის მიღების თარიღისთვის** ფლობს აქტიურ **კრიპტო-ანგარიშს** და ამ თარიღის ჩათვლით,



არ დაუკარგავს წვდომა **მობილურ ბანკზე** (მათ შორის, შეჩერების, შეზღუდვის, ტექნიკური მიუწვდომლობის ან შეწყვეტის გამო);

3.2.4 მონაწილე მოხვდება წინამდებარე **წესების** 3.4 პუნქტით განსაზღვრულ მონაწილეთა ლიმიტში.

3.3 მონაწილეს **ქეშბექი** ჩაერიცხება განხორციელებული **პირველი ტრანზაქციის** შესაბამისი თანხის 50%-ის (ორმოცდაათი პროცენტი) ეკვივალენტური ოდენობით, მაგრამ **არაუმეტეს 10 (ათი) აშშ დოლარის ეკვივალენტის** ბიტკოინისა. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მონაწილისთვის გადასაცემი **ქეშბექის** მაქსიმალური ოდენობა **კამპანიის** მიმდინარეობისას განისაზღვრება 10 აშშ დოლარის ეკვივალენტით, წინამდებარე **წესების** 3.5 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

3.4 **კამპანია** ვრცელდება მხოლოდ **პირველ 3,000 (სამი ათასი) მონაწილეზე,** რომლებიც დააკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** დადგენილ ყველა პირობას. მონაწილეთა რიგითობა განისაზღვრება **პირველი ტრანზაქციის** წარმატებით შესრულების თარიღისა და დროის მიხედვით, **თიბისი ბანკის** შესაბამის სისტემებში ასახული მონაცემების საფუძველზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მონაწილეთა ლიმიტის შევსების შემდეგ **კამპანია** აღარ ვრცელდება და **ქეშბექის** მიღების უფლება არ წარმოეშობა მონაწილეს, რომელმაც **პირველი ტრანზაქცია** ამ ლიმიტის მიღწევის შემდეგ შეასრულა.

3.5 **კამპანიაში** მონაწილეობა არის ავტომატური და არ საჭიროებს მონაწილის მიერ რაიმე ქმედების განხორციელებას, რაც გულისხმობს, რომ წინამდებარე **წესებით** დადგენილი პირობების სრულად, განუხრელად და ჯეროვნად დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონაწილე ავტომატურად მოიპოვებს **ქეშბექის** მიღების უფლებას. ამასთანავე, **მონაწილეს ქეშბექის** მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჯეროვნად იცნობს წინამდებარე **წესებსა** და პირობებს.

3.6 **ქეშბექი** გაიცემა მხოლოდ ერთჯერადად თითოეული მონაწილისთვის და მის მიერ განხორციელებულ **პირველ ტრანზაქციაზე.** ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მონაწილის მიერ შესრულებულ ნებისმიერ მომდევნო ტრანზაქციაზე **კამპანიის წესები** არ ვრცელდება.

3.7 **კამპანიის პერიოდის** დასრულების შემდგომ მანუალურად ხორციელდება მონაწილეთა განსაზღვრა, აკმაყოფილებენ თუ არა წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ პირობებს და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განისაზღვრება თითოეული მონაწილისთვის გადასაცემი **ქეშბექის** ოდენობა, რომლის ჩარიცხვა განხორციელდება არაუგვიანეს **ქეშბექის მიღების თარიღისთვის**.

3.8 **ქეშბექის** სახით დასარიცხი ბიტკოინის რაოდენობა განისაზღვრება **ქეშბექის** დარიცხვის მომენტში **თიბისი ბანკის მობილურ ბანკში** არსებული ბიტკოინის საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

3.9 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება არ აქვთ **თიბისი ბანკთან** დაკავშირებულ პირებს.

4. პასუხისმგებლობა

4.1 **თიბისი ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია **კამპანიის** ან/და შესაბამისი ციფრული აქტივების არამართლზომიერი გამოყენებით ან/და წინამდებარე **წესების** დარღვევით ან/და **კამპანიაში** მონაწილეობით.

4.2 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **თიბისი ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაწილის პროგრამული უზრუნველყოფის ან **მობილური ბანკის** ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი ვერსიით.

4.3 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ციფრული აქტივებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის მიერ და **თიბისი ბანკი** არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე.

4.4 მონაწილე აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კამპანია** არ წარმოადგენს **თიბისი ბანკის** მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ, ფინანსურ ან სხვა სახის რჩევას, რეკომენდაციას, შეთავაზებას, ოფერტს, მოწვევას ოფერტზე ან მოწოდებას ინვესტირებისკენ. **თიბისი ბანკი** პასუხისმგებლობას არ იღებს არსებულ ან/და მომავალ ფინანსურ შედეგებზე. ციფრული აქტივების შეძენის ან/და გაყიდვის ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ მონაწილის პასუხისმგებლობაა.

5. მონაწილის დისკვალიფიკაცია

5.1 იმ შემთხვევაში, თუ **ქეშბექის** მონაწილისათვის ჩარიცხვის შემდგომ გამოვლინდა, რომ მონაწილე შესაბამისი **ქეშბექის** მიღების მომენტისთვის არ აკმაყოფილებდა წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს ან/და დაარღვია აღნიშნული პირობები, **თიბისი ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს შესაბამისი **ქეშბექი** და მოითხოვოს მონაწილისგან შესაბამისი თანხის დაბრუნება ან/და დაქვითოს იგი მონაწილის **კრიპტო-ანგარიშზე** არსებული ან/და შემდგომში ჩარიცხული თანხებიდან.

5.2 **თიბისი ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კამპანიის** ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის **კამპანიის** დასრულების შემდგომ, წინამდებარე

წესებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, მონაწილე პირის მიერ არასწორი, არასრული ან/და მცდარი ინფორმაციის წარმოდგენის ან სხვა საფუძვლით, შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა (მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია), ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების, დასაბუთების და განმარტების წარდგენის ვალდებულების გარეშე.

5.3 **თიბისი ბანკის** მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის უფლების გამოყენების შემთხვევაში, დისკვალიფიცირებულ მონაწილეს არ წარმოეშობა **ქეშბექის** მიღების უფლება, მიუხედავად **კამპანიის** ეტაპისა და მონაწილეს არ წარმოეშობა უფლება მოითხოვოს **კამპანიის** ფარგლებში მიღებული **ქეშბექი** ან/და რაიმე სახის კომპენსაცია.

5.4 მონაწილე კარგავს **ქეშბექის** მიღების უფლებას, იმ შემთხვევაში თუ **ქეშბექის** ჩარიცხვის მომენტისთვის მონაწილეს აღარ აქვს აქტიური **კრიპტო-ანგარიში.**

6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

6.1 **კამპანიაში** მონაწილეობით, მონაწილე გამოხატავს თანხმობას, რომ **თიბისი ბანკმა** დაამუშაოს მონაწილის, როგორც **კრიპტო-მოდულის** მომხმარებლის, პერსონალური მონაცემები **კამპანიაში** მონაწილეობისა და ადმინისტრირების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6.2 მონაწილეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ან/და დააფიქსიროს მოთხოვნა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით შემდეგი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით:

- ტელეფონის ნომერი: +995 (0322) 27 27 27; ან
- ელ-ფოსტა: privacycommittee@tbcbank.com.ge

7. სხვა პირობები

7.1 წინამდებარე **წესები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მონაწილესა და **თიბისი ბანკს** შორის გაფორმებული „კრიპტო-მოდულის წესები და პირობებით“, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: ხელშეკრულებები.

7.2 მონაწილე ვალდებულია **კამპანიაში** არ ჩაერთოს ან/და შესაბამისი ციფრული აქტივები არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო, თაღლითური ან/და **თიბისი ბანკისთვის** ზიანის მომტანი მიზნებისთვის.

7.3 **თიბისი ბანკი** იტოვებს ცალმხრივ, დისკრეციულ და უპირობო უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დასაბუთებისა და საფუძვლის მითითების ვალდებულების გარეშე, **თიბისი ბანკის** ხელშეკრულებების, შიდა პროცედურების, პოლიტიკის ან/და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე - შეუჩეროს, შეუზღუდოს ან

შეუწყვიტოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა, თუ **თიბისი ბანკი** ჩათვლის, რომ მონაწილე არღვევს **კამპანიის წესებს,** საქართველოს კანონმდებლობას ან/და მისი ქმედება ზიანს აყენებს **თიბისი ბანკს.**

7.4 მონაწილეს არ აქვს უფლება მოსთხოვოს **თიბისი ბანკს** ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ მიიღო წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული **ქეშბექი,** მათ შორის, წინამდებარე **წესებით** დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან/და დარღვევის, დისკვალიფიკაციის ან/და **კამპანიასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო.

7.5 **თიბისი ბანკი** იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას, თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს **წესები**, ხოლო მონაწილე ვალდებულია მუდმივად იცავდეს და ეცნობოდეს ზემოაღნიშნულს.